

(2002)

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. რეკომენდაცია 1570 (2002). **ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის შესახებ აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში**

1. ასამბლეა იმოწმებს 1263 (1995) რეკომენდაციას და 1059 (1995) რეზოლუციას “სომხეთსა და აზერბაიჯანში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის შესახებ, 1305 (1996) რეკომენდაციას “საქართველოში გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის შესახებ” და 1335 (1997) რეკომენდაციას “ამიერკავკასიაში ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა შესახებ”.

2. ასამბლეა შეწუხებულია იმით, რომ ათი წლის შემდეგაც კი, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამიერკავკასიას თავს დაატყდა ე. წ. “ეროვნებათაშორისი კონფლიქტები”, რეგიონში ჯერ კიდევ არის ერთ მილიონზე მეტი გადაადგილებული პირი. ბევრი მათგანი ლტოლვილთა ბანაკებში, მძიმე მდგომარეობაში ცხოვრობს, მთლიანად მწირ ჰუმანიტარულ დახმარებაზეა დამოკიდებული და თითქმის არანაირი სამომავლო პერსპექტივა არ გააჩნია.

3. კონფლიქტები, რომლებიც თავიდან ხანმოკლე ჩანდა, დღემდე არაა გადაწყვეტილი. ამასთან კავშირში ასამბლეა მიესალმება საქართველოსა და ქართველი ლტოლვილების ძალისხმევას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მოსაძებნად და მოუწოდებს მთავრობას, გააგრძელოს მშვიდობიანი მოლაპარაკებები დაინტერესებულ მხარეებთან. მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, კერძოდ, მშობლიურ ადგილებში მათი დაბრუნების შესაძლებლობა, უდავოდ, დამოკიდებულია სხვადასხვა კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებაზე, ჰუმანიტარული ხასიათის გარკვეული საკითხები უნდა გადაწყდეს პოლიტიკური მოსაზრებებისაგან დამოუკიდებლად.

4. კერძოდ, ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ არანაირ ვითარებაში არ შეიძლება და დაუშვებელია ლტოლვილების გამოყენება პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. საჭიროა შეუფერხებლად და საერთაშორისო თანამეგობრობის სრული ურთიერთქმედებით დაიწყოს გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შემუშავება და განხორციელება, იმ პირთა ინტეგრაციის ჩათვლით, ვინც ამისკენ მისწრაფს.

5. ამ მხრივ, ასამბლეა კმაყოფილებით აღნიშნავს გარკვეულ ძვრებს შესაბამისი ქვეყნების ეროვნულ პოლიტიკაში. კერძოდ, “ახალი მიდგომა” საქართველოში და “ეროვნული პროგრამა” აზერბაიჯანში ადასტურებს, რომ შეიცვალა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების პოზიცია.

6. ასამბლეა სრულად არის გაცნობილი რთულ საერთოეკონომიკურ მდგომარეობას, რაც ამ სამ რესპუბლიკაშია, კერძოდ, უმუშევრობა, რის გამოც მნიშვნელოვანწილად ადგილობრივ მოსახლეობასაც უჭირს. ასამბლეა აღიარებს, რომ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის გამოცოცხლების მიზნით საჭიროა უცხოური ინვესტიციები და დახმარება.

7. ამასთან დაკავშირებით ასამბლეა შეშფოთებულია იმით, რომ “დონორების დაღლის” შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ჰუმანიტარული დახმარება. მისია აღიარებს, რომ მნიშვნელოვანია, არ დავუშვათ, ჩამოყალიბდეს დამოკიდებულება საერთაშორისო დახმარებაზე და მიიჩნევს, რომ მათ უნდა ჩაენაცვლოს განვითარების პროგრამები, გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაუცველი კატეგორიების ადამიანების ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

8. 1999 წლის სექტემბერში აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პარლამენტების თავმჯდომარეების მიერ ინიცირებული რეგიონული საპარლამენტო თანამშრომლობა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემების გადაწყვეტის ძიების თვალსაზრისით, ამიტომ ასამბლეა მოუწოდებს სამი ქვეყნის პარლამენტებს, განამტკიცონ თანამშრომლობა, კერძოდ, გამართონ ერთობლივი საპარლამენტო სემინარები ურთიერთსაინტერესო საკითხებზე და გაცვალონ დახმარების პროგრამების განხორციელების პოზიტიური გამოცდილება.

9. ზემოთ გადმოცემულიდან გამომდინარე, ასამბლეა იძლევა რეკომენდაციას, რომ მინისტრთა კომიტეტმა:

I. დაბეჯითებით მოუწოდოს ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოებს:

ა. გააგრძელდეს ჰუმანიტარული დახმარება რეგიონის ქვეყნებისადმი და არ დაუშვან მისი ეტაპობრივი შემცირება მანამ, სანამ მას არ ჩაანაცვლებს დახმარება განვითარების ხაზით;

ბ. შეიტანოს წონადი წვლილი ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლის მოწყობის, განათლების უზრუნველყოფისა და სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამებისა და პროექტების დაფინანსებაში;

გ. აღმოუჩინოს ფინანსური და ტექნიკური დახმარება, აგრეთვე გაუზიაროს თავისი ტექნიკური გამოცდილება პროფესიული მომზადების სისტემის შემუშავების საქმეში, კერძოდ, ქალებისა და ახალგაზრდებისათვის;

დ. გამოყოს სპეციალისტები და მუშაკები რეგიონის გასანადგურებლად;

II. დაბეჯითებით მოუწოდოს სამ რესპუბლიკას:

ა. გააგრძელოს რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ მიმართული ძალისხმევა ყველა ლტოლვილისა და გადაადგილებული პირის, მათი შესაბამისი სურვილის შემთხვევაში, მშობლიურ ადგილებში დაბრუნების მიზნით;

ბ. თავი შეიკავონ პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტად ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა გამოყენებისაგან;

გ. შეიმუშაონ და განახორციელონ გრძელვადიანი გადაწყვეტილებების სტრატეგია საერთაშორისო საზოგადოებასთან თანამშრომლობით;

დ. მისცენ ლტოლვილებს და გადაადგილებულ პირებს ყოველმხრივი, გარკვეული და მკაფიო ინფორმაცია თავიანთ უფლებებზე და ინტეგრაციასა და დაბრუნებას შორის არჩევანზე;

ე. მისცენ ინტეგრაციის შესაძლებლობა თითოეულ ლტოლვილს და მიიღონ ზომები ამ პროცესის ხელშეწყობისათვის;

ვ. გადახედონ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას იმ მიზნით, რომ შეიტანონ ცვლილებები ყველა დებულებაში, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს ინტეგრაციის პროცესი;

ზ. მოიზიდონ საერთაშორისო დაფინანსება ლტოლვილებისა და გადაადგილებული პირებისათვის საცხოვრებლის მოწყობისა და მათთვის შემოსავლის მომტანი საქმიანობის კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად;

თ. უზრუნველყონ, რომ სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე იყოს, განახორციელონ უფრო მკაცრი კონტროლი საერთაშორისო დახმარებისა და მედიკამენტების განაწილებაზე;

III. დაბეჯითებით მოუწოდა სომხეთის ხელისუფლებას:

ა. გააფართოვოს მიწათსარგებლობის შესაძლებლობა ლტოლვილებისა და გადაადგილებული პირებისათვის, მაგრამ არა ოკუპირებულ ტერიტორიებზე;

ბ. ჩართოს გადაადგილებული პირის სტატუსი საჭიროების შეფასების სახელმწიფო სისტემის ("ПАОС") მოწყვლადი მდგომარეობის ფაქტორთა სიაში, რომელიც გამოიყენება ხელმოკლე ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების უფლების მისაღებად;

გ. მოითხოვონ საერთაშორისო დახმარება და მიაპყრონ სომხური დიასპორის ყურადღება ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა მძიმე მდგომარეობაზე;

დ. მოიზიდონ საერთაშორისო დახმარება სპეციალური ფონდის დასაარსებლად, რომლის ხარჯზეც ლტოლვილები და გადაადგილებული პირები უზრუნველყოფილნი იქნებიან საბაზო სამედიცინო-სანიტარიული მომსახურებით და მედიკამენტებით;

IV. დაბეჯითებით მოუწოდა აზერბაიჯანის ხელისუფლებას:

ა. გააუმჯობესოს ლტოლვილთა ბანაკებში მცხოვრები გადაადგილებული მოსახლეობის ცხოვრების პირობები;

ბ. წახალისოს და დააფინანსოს ლტოლვილთა თვითუზრუნველყოფა შემოსავლის მომტანი საქმიანობის მოწყობის საფუძველზე;

გ. გაზარდოს შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ლტოლვილთა/გადაადგილებულ პირთა მონაწილეობა კონკრეტული პროექტების შემუშავებაში;

V. დაბეჯითებით მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას:

ა. თავი შეიკავოს ჩეჩენი ლტოლვილების ნებისმიერი (ყოველგვარი) ნაჩქარევი რეპატრიაციისაგან მანამ, სანამ ჩეჩენთში არ შეიქმნება მათი უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების პირობები;

ბ. მისცეს საქართველოს გადაადგილებულ მოსახლეობას ხმის უფლება ეროვნულ და ადგილობრივ არჩევნებში ისე, რომ არ შეიცვალოს მათი სტატუსი და არ ჩამოერთვათ უფლება, დაბრუნდნენ მშობლიურ ადგილებში.

გ. მისცენ გადაადგილებულ მოსახლეობას მიწათსარგებლობის უფლება ადგილობრივი მოსახლეობის თანაბრად;

დ. მიიღონ და განახორციელონ კანონი თურქი მესხების დაბრუნების შესახებ საქართველოს ევროპის საბჭოში შესვლის დროს ნაკისრი ვალდებულების შესრულების წესით;

ე. უზრუნველყონ მომავალ მომავალ დამბრუნებელი ოსების ქონებრივი უფლებების აღსრულება.

10. ასამბლეა, აგრეთვე, იძლევა რეკომენდაციას, რომ მინისტრთა კაბინეტმა:

I. უზრუნველყოს ერთგულება პოლიტიკური დიალოგისა და ნდობის განმტკიცებისადმი, აგრეთვე ამ პროცესის გაგრძელება რესპუბლიკების შიგნით და მათ შორის ურთიერთობებში;

II. გააგრძელოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული კონკრეტული პროგრამები;

III. ხელი შეუწყოს ლტოლვილ და გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული გრძელვადიანი გადაწყვეტილებების განხორციელებას რეგიონში;

IV. წინადადება მიეცეს ევროპის განვითარების ბანკს დადებითი გადაწყვეტილება მიიღოს ამ სამი რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილ პროექტებზე.

**2002 წლის 27 ივნისი**

[www.coe.int](http://www.coe.int)